

სამაგისტრო პროგრამის დასახელება: გეომორფოლოგია-გეოეკოლოგია, კარტოგრა-
ფია-გეოინფორმატიკა

Geomorphology and Geoeontology, Cartography-Geoinformatics

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მაგისტრი
(გეომორფოლოგია-გეოეკოლოგიაში ან კარტოგრაფია-გეოინფორმატიკაში)
Master of science (Geomorphology and Geoeontology or Cartography-Geoinformatics)

პროგრამის ანალოგი

1. კემბრიჯის უნივერსიტეტი www.cam.ac.uk/
2. ბირმინგემის უნივერსიტეტი,
3. გლაზგოს უნივერსიტეტი, UK/www.gla.ac.uk/
4. მილანის უნივერსიტეტი
5. პარიზის უნივერსიტეტი
6. ჰაიდელბერგის უნივერსიტეტი www.uni-heidelberg.de/index_e.html
7. ბერლინის უნივერსიტეტი
8. მოსკოვის უნივერსიტეტი www.msu.ru/en/
9. ვენის უნივერსიტეტი www.univie.ac.at/
10. დრეზდენის უნივერსიტეტი
11. სორბონის უნივერსიტეტი [www.paris4.sorbonne.](http://www.paris4.sorbonne)

სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი: გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი რამინ გობეჯიშვილი,
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მისამართი: ქ. თბილისი, სტანისლავსკის ქ. 12-44

ტელეფონი: (995 32) 35 17 30 (სახლი), (995 32) 25 02 77 (სამსახური)
(995 99) 26 17 30 (მობ.). ელ-ფოსტა: ramingobe@hotmail.com

სამაგისტრო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

მიზანი გეომორფოლოგია-გეოეკოლოგიის სპეციალობას, რომლის კვლევის ობიექტსაც რელიეფი და მასში მიმდინარე ბუნებრივი და ანთროპოგენური პროცესები წარმოადგენენ, მეცნიერულ ლირებულებასთან ერთად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა გააჩნია. სამაგისტრო პროგრამის მიზანია მომზადდეს სპეციალისტი კარტოგრაფიაში და გეოგრაფიულ ინფორმაციულ სისტემებში. იგი უნდა ფლობდეს კარტოგრაფიის საფუძვლებს, კვლევის კარტოგრაფიულ მეთოდებს (ყველა სახის რუკისა და სხვა კარტოგრაფიული გამოსახულებების სივრცითი ანალიზის უნარ-ჩვევბს) და თანამედროვე კარტოგრაფიული წარმოების ძირითად ტექნოლოგიურ თავისებულებებს. ეს ყველაფერი დაფუძნებული უნდა იყოს გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემების და სივრცული ინფორმაციის დამუშავებისათვის აუცილებელი კომპიუტერული პროგრამების დრმა ცოდნაზე.

შედეგი პროგრამის დასრულების შემდეგ მაგისტრს ჩამოყალიბებული ექნება კვალიფიციური სპეციალისტის შესაბამისი ყველა ცოდნა და უნარი, როთაც აღნიშნული პროგრამით შეძლებს დამოუკიდებელ მუშაობას. მაგისტრი მზად იქნება იმუშაოს რელიეფთან, გეოდინამიკურ პროცესებთან (მათ შორის სტიქიურ მოვლენებთან) დაკავშირებულ პრობლემებზე. ასევე სამეცნიერო და პრაქტიკული შინაარსის პროექტებში. მაგისტრი მზად იქნება შექმნას მაღალხარისხიანი გეოინფორმაციული სისტემები, სივრცითი მოდელები, მონაწილეობა მიიღოს, როგორც კვალიფიციურმა ექსპერტმა აღნიშნული პრობლემატიკის განხრით.

სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობა:

ბაკალავრის ხარისხი გეოგრაფიაში, გეომორფოლოგია-გეოეკოლოგია და სხვა მომიჯნავე სპეციალობებში; არასაბიუჯეტო სექტორზე მინიმალური შეფასება 3,5; კომპიუტერული პროგრამების და უცხო ენის ცოდნა.

კურსდამთავრებულს ბაკალავრის ხარისხი მიღებული უნდა ჰქონდეს პირველ რიგში კარტოგრაფიისა და გეოინფორმაციის სპეციალობით. სასურველია ასევე კადასტრისა და გეოინფორმაციული პროფილის ფირმებსა და დაწესებულებებში მომუშავე სპეციალისტების მიღება.

- უპირატესობა მიენიჭება კონფერენციებში, სხვადასხვა ექსპედიციებში, პროექტებში, საზღვარგარეთის სასწავლო დაწესებულებებში სტაჟირებაგავლილ პიროვნებებს; ასევე სამეცნიერო სტატიის ან რუკის (უკვე გამოქვეყნებულის) ავტორებს.

- მსურველს შეუძლია ჰქონდეს სამუშაო გამოცდილება, თუმცა ეს სავალდებულო არ არის.

2006 წელს ბაკალავრიატის კურსდამთავრებულს პროგრამაზე ჩაბარების უფლება აქვს.

ბაკალავრის ხარისხი გეოგრაფიაში ან ინფორმატიკაში. მინიმალური შეფასება 4. კომპიუტერული პროგრამების (გეოინფორმაციული და ექსპერტული სისტემების ღრმა ცოდნა).

მაგისტრანტს მოეთხოვება ფრანგული, ინგლისური ან რუსული ენების ცოდნა (A-2)

დასაქმების სფეროები

- დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა (გეოგრაფია, ნიადაგმცოდნეობისა და მელიორაციის, გეოლოგია, გეოფიზიკა)) სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში;
- გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში;
- პედაგოგიური სასწავლებლები (კოლეჯი, ლიცეუმი, უმაღლესი სკოლა);
- ტურისტული სააგენტო;
- ტერიტორიის მენეჯმენტის საქმე;
- კარტოგრაფიის დეპარტამენტი;
- დაცული ტერიტორიების სისტემა;
- მუნიციპალური სამსახური;
- კადასტრისა და მიწის რეგისტრაციის პროექტი KfW თანადაფინანსებით;
- სოფლის მეურნეობის სამინისტროს ნიადაგის ნაყოფიერების სამსახური;
- გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო;
- სატექნიკურო მეცნიერების სახელმწიფო დეპარტამენტი;
- იუსტიციის მიწის რეგისტრაციის სამსახური.

სასრავლო-სამეცნიერო მუშაობა და მატერიალურ-ტექნიკური გაზა:

სამაგისტრო პროგრამა განხორციელდება ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის გეოგრაფიის დეპარტამენტის მარტყოფის ფიზიკურ-გეოგრაფიული სტაციონარის სასწავლო ლაბორატორიის ბაზაზე.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის ურთიერთ თანამშრომლობის მემორანდუმის (10. 05. 2007) თანახმად მაგისტრანტები პროფესიულ მომზადებას გაივლიან ინსტიტუტის ბაზაზე.

ამ მიმართულების თანამშრომელთა სამეცნიერო და პედაგოგური გამოცდილება, საერთაშორისო კონტაქტები, განხორციელებული პროექტები სრულ შესაძლებლობას იძლევა მომზადდეს მაღალკალიფიციური სპეციალისტები.

**მაგისტრატურაში ლექცია-სემინარების განაწილება ცალკეული საგნების მიხედვით
(15 კვირა). სამაგისტრო პროგრამის საგნების ჩამონათვალი**

№	საგნის დასახელება	საგნის სტატუსი სავალდებულო არჩევითი	კრედიტების საერთო რაოდენობა	კრედიტების განაწილება			
				სემესტრები			
				I	II	III	IV
1	რელიეფის გეომორფოლო-გიური კარტოგრაფირება ახალი ტექნოლოგიებით	ძირითადი	10	10			
2	გეოეპოლოგიური კარტოგრაფირება	ძირითადი	10	10			
3	მთიანი რელიეფის გეოდინამიკა	ძირითადი	5	5			
4	ადამიანი და რელიეფი – რელიეფის ანთროპოგენური ტრანსფორმაცია	ძირითადი	5		10		
5	გარემოს დინამიკის კარტოგრაფიული ასპექტები	ძირითადი	5		5		
6	სკულპტურული გეომორფოლოგია და ოოვლმყინვარული რესურსები.	ძირითადი	10		10		
7	საქართველოს რეგიონების გეომორფოლოგია.	ძირითადი	10			10	
8	შემეცნების და კვლევის კარტოგრაფიული მეთოდები	ძირითადი				10	
9	კავკასიის გეომორფოლოგია და სეისმოგექონიკა	ძირითადი	10			5	
10	სტიქიური პროცესების რისკი და შეფასება	ძირითადი	10			5	
11	სამაგისტრო ნაშრომი სამაგისტრო ნაშრომი		15				15
	სულ		120	30	30	30	30